საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხასახლის ქუჩა, № 8
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. ...
1 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
1 „ 1 მ. —

№ 624 კვირა, ნოემბრის 18, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი საბჭოები

მთელი საქართველოს მაშტაბით დღეს მორიგი სამუშაო გვაქვს. ეს სამუშაო საბჭოთა ხელ-ახალი არჩევნებია. წინეთ არჩევნების მოახლოვებისას ყველა პარტიები მართავდნენ განგაშს, ყველა ქვეყანას არწმუნებდა თავის დიდ მიზნებში, ხალხის თავდადებულ სამსახურში და სხ. და სხ.

დღეს ასეთს ადგილი არა აქვს, კლასობრივმა ბრძოლამ, მშრომელთა ხელისუფლების დამყარებამ ყოველ პარტიას პირბადე ჩამოხია და გამოაშკარავა მისი ჭეშმარიტი სახე. დღეს ნათელი გახდა, რომ ბევრი პოლიტიკური პარტია ხალხის ინტერესებზედ ლაპარაკობდა, მაგრამ ამ ინტერესთა წინააღმდეგ მოქმედებდა.

მართლაც და საქმე ის კი არ არის თუ რა გიწერია იმ ქაღალდში, რომელსაც პროგრამა ეწოდება. ეს შეიძლება ხალხის მოსატყუარადაც იყოს დაწერილი, ასეთ ხერხს ხშირად მიმართავენ პარტიები, არამედ საქმე იმაშია თუ რას აკეთებ, რას მოქმედებ, ვისთან ხარ და რა გზით მიდიხარ.

ეს კი დღეს აშკარავდება. ამიტომ მშრომელი ხალხის ფართო მასები აღარ ნდობენ იმ პარტიებს, რომლებიც წინეთ ვითომც ხალხის ინტერესების დამცველად გამოდიოდნენ.

სამი წლის მუშაობამ, საბჭოთა ხელისუფლების საალმშენებლო პოლიტიკამ და ენერგიულმა მოღვაწეობამ დაამტკიცა, რომ ერთად ერთი ძალა რომელიც მტკიცეთ და გარკვეულად ხელმძღვანელობს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას არის საბჭოები, რევოლიუციონური ორგანოები, სადაც არც ერთი არა მშრომელი ელემენტი არ არის.

ბევრი დამაბრკოლებელი გარემოებანი უშლიდა ხელს აღმშენებლობითი მუშაობის წარმოებას. ჩვენში არა თუ გამართული წარმოება დახვდა ახალ ხელისუფლებას თავის დამყარებისას, არამედ საალმშენებლო მუშაობა დაწყებული არ ყოფილა.

მეზობლებთან მტკიცე და მეგობრულმა დამოკიდებულებამ, ძველად არსებულ უთანხმოების მოსპობამ და თანამშრომლობის გამტკიცებამ, ხელი შეუწყო შიგნით სამეურნეო საქმიანობის გაცხოველებას და ეკონომიურ ფრონტზედ შედეგების მიღწევას.

დღეს არა მარტო სიტყვებით მივდივართ ჩვენ ამომრჩევლებთან, არა მარტო დეკლარაციებითა და დაპირებებით უმასპინძლდებით მათ, არამედ ფაქტებით ხელში, სინამდვილის მითითებით ვეუბნებით მშრომელი ხალხის ფართო მასებს იმ მუშაობაზედ, რომელიც შესრულდა და აღვნიშნეთ იმ ამოცანებით, რომელნიც ამიერიდან უნდა შევასრულოთ.

ახალი არჩევნები უმთავრესი სამუშაოა დღეს ყოველი შეგნებული მუშა ამ არჩევნებში მხურვალე მონაწილეობით დაამტკიცებს, რომ იგი სახელმწიფოს საქმეს აბარებს რევოლიუციის ხელმძღვანელ პარტიას და ყველა იმ მშრომელს, რომელიც გულწრფელად და თავდადებით ემსახურება რევოლიუციის ინტერესებს.

სამი წლის მუშაობით რევოლიუციონურმა საბჭოებმა წარჩინებით ჩააბარეს გამოცდა მომავალი საბჭოებიც, დახმარებით მშრომელი ხალხისა შესძლებს იმ დიდი მუშაობის შესრულებას, რომელისთვისაც იგი არის მოწოდებული.

## ჩვენი ნაბიჯი

2.

თუ საერთაშორისო მუშათა მოძრაობა, ყველა საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციები, ინტერნაციონალების სახით, მარქსისტული ხასიათისაა, მაშინ ყოველი ჭეშმარიტი რევოლიუციონერისათვის ერთი სავალდებულო დებულებაა—იგი ამ ორგანიზაციებში ან ამ ორგანიზაციასთან, უნდა თანამშრომლობდეს.

კერძოდ ჩვენსა და მარქსისტებს შორის ძველი დავა დღეს მოხსნილად უნდა ჩაითვალოს. დალების მარქსიზმი, ჟორდანიას მარქსიზმი, ისე როგორც კაუცკის ისევე მიუღებელია ჩვენთვის დღეს, როგორიც იყო წინეთ.

ლენინის დიდი როლი და დამსახურებაც იმაშია, რომ მან სასიკვდილო მახვილი ჩასცა სოციალ-დემოკრატიულ მარქსიზმს. არც ერთი მოაზროვნეს ბრძოლა ისეთი სიმკაცრით არ უწარმოებია სოციალ-დემოკრატიული მარქსიზმის წინააღმდეგ, როგორადაც აწარმოვა ლენინმა და საერთოდ ბოლშევიკებმა ამ მხრივ ჩვენი ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ დაახლოვებით ისეთი იყო, როგორიც არის ბოლშევიკების ბრძოლა.

დღეს ბოლშევიკური მარქსიზმიდან ჩვენ პოლიტიკურად არაფერი არ გვაშორებს. აქტიური მეთოდების წამოყენება კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. უარყოფა კაპიტალიზმის თვითლიკვიდაციის, ეგ. წოდებული კატასტროფიული თეორიის, რომელიც კრიზისების თეორიის ნიადაგზე აშენდა. სოციალიზაციის პრინციპი სოფლად და ქალაქად, ფართო ასპარეზი კომუნალური და კოოპერატიული მეურნეობისათვის, ფედერატიული ფორმები ერთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად და სხვა მრავალი, რომელსაც ჩვენ ვიცავდით და ვიცავთ, დღეს პრაქტიკული შემოქმედების სფეროშია ატანილი ბოლშევიკების მიერ.

მე საშუალება მქონდა აღმენიშნა უკანასკნელში ჩვენი გაზეთის ფურცლებზედ, თუ რა პირობები იქმნებოდა ჩვენი პარტიის არსებობისათვის ასეთ პოლიტიკურ ნათესაობის დროს კომუნისტურ პარტიასთან.

მე მაშინ ვამბობდი, რომ უნდა გაგვემაგრებია იდეოლოგიური ფრონტი, რომ პარტიის არსებობა რეალურად, ორგანიზაციულად მაინც შესაძლებელი ყოფილიყო. ცხადია, სანამ ორგანიზაციებში თავისთავად არ მომწიფდებოდა აზრი სხვა გვარი პოლიტიკური ნაბიჯის-თვის, ჩვენ არ შეგვეძლო და არ დაუშვებდით, რომ გვეწერა და გვექადაგა ის, რასაც დღეს ვწერთ და ვქადაგობთ. მართლაც უცნაური მოვლენა იქნებოდა პოლიტიკურ პარტიათა ცხოვრებაში, რომ პარტიის მუშაკებს ხელში კალამი აეღოთ და ეწერათ ჩვენს არსებობას ამიერიდან აზრი აღარა აქვსო, თუ კი ამის თქმის შემდეგ სხვა პოლიტიკური ნაბიჯი არ იქნებოდა გადადგმული.

ამიტომ ჩვენ, ჩვენსა და ბოლშევიკების თეორიულ განსხვავებაზედ მიუთითებდით ჩვენ ამხანაგებს. ეს შედეგი იყო იმ გარემოების, რომ პოლიტიკურად ჩვენ უკვე გაერთიანებული ვიყავით.

აქვს თუ არა დღეს ამ წმინდა თეორიულ სხვაობას დიდი მნიშვნელობა?

მე არ ვეკუთვნი იმ პიროვნებათა რიგს, რომლისათვის პოლიტიკა კონკრეტი პრაქტიკულ მიზანთა მისაღწევი ტეხნიკური ნორმაა და სხვა არაფერი, მაგრამ დღეს წმინდა თეორიულ სხვაობას, თუ **იგი არ იწვევს გარდამავალი პერიოდის ბრძოლის მეთოდების სხვაობასაც—დიდი მნიშვნელობა არა აქვს.**

უმთავრესი სიძნელე სოციალისტური პარტიებისათვის არსებული წყობილების კრიტიკა კი არ არის, ან მომავალი წყობილების კონტურის და სხვა, არამედ იმ გზების გათვალისწინება, რომლითაც მივდივართ სოციალიზმისაკენ და იმ ბრძოლის მეთოდების გამომუშავება, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

არსებული წყობილების კრიტიკა სისმონდის, პრუდონს, როდბერტუსაც კარგად შეიძლოთ, ხოლო მომავალი წყობილების გეგმების შექმნაში ვერავინ შეედრება ფურიეს ფანტაზიას, ოუენის შეუჩერებელ აგიტაციას და სენ-სიმონისტების რელიგიური ხასიათის მოღვაწეობას.

უმთავრესი, როგორც აღვნიშნეთ ბრძოლის მეთოდების საკითხია. ეს კი მკაცრად ჩამოყალიბებულ თეორიას საჭიროებს. მარქსი „კაპიტალის" წინა-სიტყვაობაში სწორედ იმას აღნიშნავს, რომ მისი ამოცანა თანამედროვე საზოგადოების განვითარების კანონების ახსნა და გაგებაა. აქ არის უმთავრესი სიძნელე სოციალ პოლიტიკური დოქტრინისათვის.

თუ სოციალური ძალები ემორჩილებიან სასტიკ ინტეგრალურ ტენდენციას, პოლიტიკური სისტემა, რომ აიგო დიფერენციალურ პრინციპზედ, დეცენტრალიზმის ნიადაგზე, აშკარაა იგი ქაღალდზედ დაწერილი გეგმა იქნება მხოლოდ. თუ კაპიტალიზმის განვითარება აუცილებლობის გზით მიდის სოციალიზმისაკენ და აქტიურ შემოქმედებით ბრძოლას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა ამ პროცესში, შეუძლებელია ბრძოლის მეთოდებში შეიტანო რევოლიუციონური თავდასხმა კაპიტალზე. თუ მხოლოდ კლასობრივი ბრძოლა არის ერთად ერთი მამოძრავებელი ძალა ისტორიისა, შეცდომა იქნება ეროვნული ენერგიაც ანგარიშში აიღო სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში.

ყველა ეს საკითხები თეორეტიულ დასაბუთებას მოითხოვს და თავ თავის ადგილის მიჩენას მთელ სისტემაში. ეს სისტემა უმთავრესად გარდამავალი პერიოდისათვის სამოქმედო პროგრამაა და არა აკადემიური ვარჯიშობის ტრაქტატი.

გარდამავალ პერიოდში კი, ამ უმთავრეს, ურთულეს და უძნელეს საკითხში ყოველი პოლიტიკური პარტიისათვის, ჩვენსა და კომუნისტებს შორის სრული იგივეობა მეფობს.

ეს იგივეობა არის მიზეზი ჩვენი ნაბიჯისათვის კომპარტიასთან გაერთიანების შესახებ.

რაც შეეხება წმინდა თეორეტიულ საკითხებს, ისეთს, რომელზედაც მეცნიერებს თავისი უკანასკნელი სიტყვა ჯერ კიდევ არა აქვს, აქ მოაზროვნისათვის არავითარი ავტორიტეტი სავალდებულო არ არის გარდა ერთად ერთი ავტორიტეტისა, რომელსაც ჭეშმარიტება ეწოდება.

ს. ა.

## ტელეგრამები

(„ზაკროსტას" ცნობები 17 ნოემბრიდან).

— **ბერლინში დააპატიმრეს 2 დეპუტატი კომუნისტი**

— **გერმანეთს საყოველთაოთ სიმშილი ელის.**

— **კრონპრინცის დაბრუნების გამო, საფრანგეთი მოითხოვს სამხედრო კანტროლის აღდგენას გერმანეთზედ.**

— **ბერლინში ყოველ წამს ელიან შტრეზემანის გადადგომა**

— **რეიხსტაგი მოწვეულია სამშაბათისათვის.**

— **ბავარიაში დიდი მღელვარებაა კარის წინააღმდეგ.**

— **მენშევიკების წყალობით ბერლინის მბეჭდავთა გაფიცვა ჩაიშალა**

— **პროფკავშირთა უმრავლესობა კომპარტიას მისდევს**

**გერმანეთში მუშები უწამლოდ რჩებიან**

— **გერმანეთის მთავრობის ახალი ტაქტიკა.**

— **ცეიგნერი იხსნის თავიდან დეპუტატის უფლება-მოვალეობებს**

— **მრეწველთა მოლაპარაკება ფრანგებთან შესწყდა.**

— **ბერლინის წისქვ ლების მუშათა გაფიცვა დამთავრდა.**

## გერმანეთის ამბები

### ფასების არაჩვეულებრივი ზრდა

ბერლინის ბირჟაზედ დოლარის სტიქიურმა ზრდამ გამოიწვია სურსათის ფასების არა ჩვეულებრივი აწევა. ხორცი, მაგალითად, გირვანქა ტრილიონ მარკაზე მეტი ღირს

### რენტენმარკების გამოცემა

გუშინ, 16 ნოემბერს უნდა გამოსულიყო ახალი რეტენმარკები.

### ბურჟუაზიული ხელშეუხებლობა დებუტატებისა

ბერლინში დააპატიმრეს 15 კომუნისტი, მათ რიცხვში ორი რეიხსტაგის დეპუტატი.

### გერმანეთს საყოველთაო სიმშილი ელის

შტრეიზემანსა და სხვა მინისტრებს თათბირი ჰქონდათ ამერიკის ფერმერთა კავშირთან ამერიკიდან გერმანიისათვის ხორბლის მიწოდების შესახებ. კანცლერმა აუწყა ქვეყნის მწვავე სასურსათო მდგომარეობა, მისი განცხადებით, თუ გერმანეთმა დაუყონებლივ არ მიიღო 50 მილ. „კული" ხორბალი, მდგომარეობა მეტად სახიფათო გახდება. რადგანაც გერმანეთს არა აქვს საშუალება გაუსწორდეს ნაღდ ფულზედ, ამიტომ იგი ამერიკას ხორბლის ნაცვლად აძლევს თავის „პოტაშს".

ამერიკელებმა განაცხადეს, რომ მათ არ შეუძლიანთ მიიღონ ეს წინადადება, რადგანაც გერმანეთის „პოტაში" მეტად ძვირია და ამერიკაში დიდი საბაჟო გადასახადი აქვს მას.

### უმუშევრობის ზრდა

უმუშევართა რიცხვი გერმანეთში უკანასკნელ თვის განმავლობაში წინანდელთან შედარებით გაიზარდა 30 პროც. შემცირებულ სამუშაო დღით მომუშავეთა რიცხვი—10 პროც. ეს ციფრები ეკუთვნის თავისუფალ გერმანეთს, ხოლო თუ ოკუპაცია ქმნილ ნაწილებსაც მივათვლით, მაშინ უმუშევართა რიცხვი უფრო გაიზრდება.

### წისქვილების გაფიცულ მუშათა მეთაურების დაპატიმრება

გუშინ, მას შემდეგ, რაც ბერლინის წისქვილების გაფიცულ მუშათა წარმომადგენლებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას წისქვილის პატრონებთან, გენერალ სექტმა გასცა განკარგულება დაეპატიმრებინათ გაფიცვის ხელმძღვანელნი. მათ განუცხადეს, რომ შეუძლიანთ იყვნენ ციხეში და განაგრძონ მოლაპარაკება წისქვილის პატრონებთან.

### როგორ მიიღო კრონპრინცმა პასპორტი

ლონდონის გაზეთ „დეილ მეილს" ჰაავის კორესპონდენტი აცნობებს, რომ კრონპრინცისათვის პასპორტის შოვნაში დიდი როლი ითამაშა ყოფილ კაიზერის ცოლმა, რომელმაც ამ ცოტა ხანში თვითონ იმგზავრა გერმანეთში.

### კაიზერს ჯერ არ მიუღია პასპორტი

ჰაავის კორესპონდენტი იუწყება ლონდონში, რომ თუმცა კაიზერს იმედი აქვს გერმანეთში დაბრუნებისა, მაგრამ მას პასპორტი ჯერ არ მიუღია.

### წაიჩხუბენ კრონპრინცისათვის

კრონპრინცის გერმანეთში დაბრუნება დიდ უთანხმოებას იწვევს ელჩთა კონფერენციაში. მარშალმა ფოშმა წარუდგინა მას ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანეთმა იწყო შეიარაღება და, რომ რეიხსვერის რიცხვი აჭარბებს ნებადართულ რიცხვს კამბანმა აგრეთვე დაადასტურა, რომ საფრანგეთისათვის საჭიროა განაახლოს სამხედრო კანტროლი გერმანეთზედ. ბოლოს გადასწყვიტეს თავთავის მთავრობებს წარუდგინონ პროექტი მოთხოვნილებისა, რათა გერმანეთმა დაიცვას ვერსალის ხელშეკრულება.

### მაღაროების დახურვა

ჰელზენკირხენში გამოკრულია განცხადება, რომ 30 ნოემბრიდან ითხოვენ ყველა მუშა-მემაღაროეთ. რურის ფინანსისტებმა გადასწყვიტეს დახმარება გაუწიონ უმუშევრებს იმ თანხიდან, რომელიც უნდა შეიტანონ მათ მთავრობაში ხარჯის სახით.

### მხოლოთ დროებით.

სტინესის მოლაპარაკება მოკავშირეებთან მხოლოდ დროებით არის შეწყვეტილი.

### შტრეზემანის გადადგომის წინაშე.

ბერლინიდან ლონდონში იუწყებიან, რომ იქ ყოველ წუთს ელიან შტრეზემანის გადადგომას.

### საფრანგეთი ჰამბურგის ოკუპაციით იმუქრება.

რომის გაზეთების ცნობით, საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა ოკუპაცია უყოს ჰამბურგს, თუ გერმანეთი უარს იტყვის საფრანგეთის სამხედრო კონტროლის აღდგენაზე.

### რეიხსტაგის მოწვევისათვის

რეიხსტაგის მამასახლისთა საბჭო, რომელიც უნდა შეკრებილიყო 16 ნოემბერს, მოულოდნელად შეიკრიბა 14-ს, საღამოთი და დაადგინა მოიწვიოს რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისია შაბათს, ხოლო რეიხსტაგის პლენუმის დღიურ წესრიგში დასმულია მეორე ხარისხოვანი ხელშეკრულებანი უცხო სახელმწიფოებთან და კამათი პოლიტიკურ საკითხებზედ.

### ინგლისის პასუხი საფრანგეთს:

რომის ცნობით, ინგლისის ელჩმა პარიზში, ლორდ კრიუმ ინახულა პუაკარე და გადასცა მას ინგლისის მთავრობის ნოტა, რომელიც პასუხია საფრანგეთის ნოტაზედ რეინში სეპარატისტული მოძრაობის იურიდიულ შედეგების შესახებ, ვერსალის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული.

### მღელვარება კარის წინააღმდეგ

„როსტას" სააგენტოს მიუნხენის ცნობით, მღელვარება კარის წინააღმდეგ მეტად ძლიერია. კარს არ შეუძლიან ქუჩაში გამოსვლა და ლოსოვთან ერთად გამუდმებით იმყოფება საკომენდატო სახლში, სადაც ბეჭდვითი საქმის წარმომადგენელთაც კი აღკრძალული აქვთ მისვლა. ურთიერთობა კარსა და კნილინგის მთავრობის შორის აგრეთვე მეტად გართულებულია.

პროვინციაშიაც მტრულია განწყობილება კარის მიმართ. ბრამბურგში გიტლერის მომხრეებმა მოაწყვეს დემონსტრაცია და შეეცადნენ მუნიციპალიტეტის დაჭერის. რეიხსვერმა უარი სთქვა გამოსულიყო გიტლერის მომხრეთა წინააღმდეგ, ხოლო გამოწვეული პოლიცია შეურაცყოფილ იქმნა ხალხის მიერ. მიუნხენში მყოფი რეიხსვერის ოფიცრებიდან ბევრი გადის სამსახურიდან. პოლიციის ორი რაზმი გიტლერის მხარეზე გადავიდა. მიუნხენის გარნიზონი, იძულებული იყვნენ, გაეყვანათ ქალაქიდან და მათ ადგილას მოიყვანეს რეიხსვერი, გამოწვეული აუგსბურგიდანა და ჩრდილოეთ ბავარიიდან.

### შტრეზემანი ბეწვზე ჰკიდია

შტრეზემანის მდგომარეობა უფრო და უფრო ჰკარგავს სიმტკიცეს. სოც. დემ. აპირებენ პარლამენტში შტრეზემანის უნდობლობის ვოტუმი შეიტანონ, შტრეზემანმა უარი სთქვა მიეღო სოც. დემ. ფრაქციის პრეზიდიუმის წარმომადგენლნი. ნაციონალისტების პოზიცია ჯერ გამოურკვეველია.

### მუშები უწამლოდ რჩებიან.

აფთიაქები უარს ამბობენ მოამზადონ წამლები საავადმყოფო კასების რეცეპტით, რადგანაც ამ უკანასკნელთ არა აქვთ ფული საფასურის გადასახდელად.

### მრეწველთა მოთხოვნილება.

სრულიად გერმანეთის მრეწველთა კავშირი მოითხოვს ნახშირის ულუფით განაწილების გაუქმებას.

### ცეიგნერი იხსნის თავიდან დეპუტატის უფლებებს.

„ფორვერტსის" ცნობით, საქსონიის ყოფილ მუშათა მთავრობის პრემიერ ცეიგნერს განზრახვა აქვს მოიხსნას თავიდან დეპუტატის უფლებები.

# ახალი ამბები

— **წყალსადენი ქუთაისში.** ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, ქუთაისში ააგოს წყალსადენი და ამ მიზნით მიმართოს უმაღლეს ხელისუფლებას სათანადო თანხის გასაღებად.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** ორშაბათს 19 ნოემბერს საღამოს 7 ს. განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ამხ. კლენიცკის პირველი ლექცია: „თანამედროვე პროფ მოძრაობის ძირითად საფუძვლებზე". კურსის მოსმენა სავალდებულოა ადკომის ყველა წევრთათვის. სასურველია დელეგატების დასწრებაც.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** ორშაბათს 19 ნოემბერს საღ. 6 საათ. ქართული ენის წრეში შარაშიძის მოხსენება. სამშაბათს 20 ნოემბერს საღ. 8 საათ. საბუნებისმეტყველო წრეში კომისიის ნოხსენება—მეცადინეობა ქართულ ენაზე. ხუთშაბათს 22 ნოემბერს საღ. 6 საათზე სკოლასთან არსებულ საბავშო ბაღების წრის სხდომა მეცადინეობა ქართულ ენაზე. პარასკევს 16 ნოემბერს საღ. 6 საათ. წრეში ქართული ენის სწავლება არა ქართულ სკოლებში, ი. ყიფშიძის მოხსენება. პარასკევს 23 ნოემბერს საღ. 6 საათზე ამავე წრეში მეტრეველის მოხსენება. შაბათს 24 ნოემბერს საღ. 6 საათზე გ. ნათაძის ლექცია საზოგადო მეტყველებაში. ოთხშაბათს 28 ნოემბერს საღ. 8 საათ. საზოგადო მეტყველების წრის სხდომა რუსულ ენაზე.

— **ბოროტმოქმედის შეპყრობა.** 14 ნოემბერს დილის 5 საათზე შეპყრობილი იქნა, ცათიკო ბალახაძე, რომელსაც აღმოაჩნდა 2 ტომარა სხვა და სხვა ნივთები და ფულად 638 მილიონი 660 ათასი მანეთი და ოთხი ჩერვონეცი. როგორც გამოირკვა მას გაუქურდავს ავჭალის მთლიანი მუშათა კოოპერატივი.

— **მკვლელობა.** 13 ნოემბერს ნიკოლოზ ხვედელიძემ დანით მოჰკლა ივანე გიგაური და მიიმალა.

— **ქურდის შეპყრობა.** 14 ნოემბერს შეპყრობილ იქნა მოქ. გრიგოლ კაპანაძე, რომელიც ცდილობდა გაეტეხა მოქ. ბესარიონ ჰკუასელის ბინა მდებარე გოგოლევის ქ. № 48-ში.

— **ტანსაცმელის შეძენა ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის.** ქ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა შეიძინონ ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის 47 ცალი თბილი „ტუჟურკა" და 112 ცალი თბილი შალვარი.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** სამშაბათს ნოემბრის 20-ს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (კალოუბნის ქუჩა № 1) მოხდება „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც პროფესორი **ივანე ჯავახიშვილი** წაიკითხავს მოხსენებას: „ქართული დიპლომატიკის საფუძვლები". კრებაზე გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

— **თეატრების ქვეშ მოთავსებულ დარაბების შესახებ.** ქ. აღმასკომმა დაადგინა: სუყველა დარაბები ქ. ტფილისში ჩაითვალოს ტფ. აღმასკომის საკუთრებად, მცირე თეატრის და ცირკის შენობები დაუყონებლივ მიღებული იქნას აღმასკომის განკარგულებაში, და, აგრეთვე, გამოყოფილი იქნას კომისია, ზემოხსენებულ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

— **დაზღვეულთა რიცხვი.** სოც. დაზ. სამმართველოს ცნობით, სრულ. საქ. რესპუბლიკის დამზღვევ კასებში 1 ოქტომბრისათვის აღრიცხვაზე აყვანილი იყო 3500 დაწესებულება წარმოებანი, რომელშიაც ირიცხება 60.000 დაზღვეული მუშამოსამსახურე.

— **ვალიუტის კურსი** 18 ნოემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 120.000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 113,500 | „ |
| ჩეკი. | 109,000 | „ |
| დოლარი ეფქ. | 26,000 | „ |
| ჩეკი. | 24,000 | „ |
| ოსმალური ლირა | 14,000 | „ |
| საბჭოთა ფული | 12,000 | „ |

# პარტიაში

კვირას, 18-ნოემბერს, 4 საათზე, ცენტრალურ ბიუროში მოწვეულია სტუდენტთა კომიტეტის სხდომა. გასარჩევია ფრიად სასწრაფო საკითხები.

**სტუდ. კომიტეტი.**

—

სამშაბათს, 20 ამ თვეს საღამოს 6 საათზე. პარტიული ბიოროს ოთახში. № 1. დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა, ყველა წევრებს ევალებათ აუცილებლად დასწრება.

—

ტფილისის კომიტეტის პლენუმის უკანასკნელ სხდომის დადგენილების თანახმად მოვალენი არიან პარტიის წევრები და კანდიდატები ორი დღის განმავლობაში, 18 და 19 ნოემბერს შეავსონ ანკეტები. ანკეტების შევსება სწარმოებს ტფილისის კომიტეტის ოთახში; დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **გ. ლასკარი.**

# სრულიად საქართველოს პოლიგრაფიული წარმოების მუშათა მესამე ყრილობა

დღეს, ოქტომბრის 18-ს ტფილისში (მბეჭდავების კლუბში) იხსნება სრულიად საქართველოს პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა მესამე ყრილობა.

მესამე ყრილობა უეჭველად ნიშნავს საქართველოში მბეჭდავი მუშების მიერ კლასიურ ნიადაგზე რევოლიუციის მიერ მონაპოვარის გამარჯვებასაც და გახალდებულის შენარჩუნებასაც.

მთელ საბჭოთა ფედერაციას და კერძოდ საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ისეთი სერიოზული და მნიშვნელოვანი არც ერთი ტრესტი არა აქვთ, როგორც პოლიგრაფიული წარმოებაა.

ამხ. ტროცკიმ მას „რევოლიუციის იარაღი" უწოდა.

და განა ეს მართალი არ არის? განა თანამედროვე მუშათა მოძრაობას დღეს პოლიგრაფიული ნაწარმოები—ლიტერატურა არა ჰკვებავს?

განა ვინმეს სერიოზულად წარმოუდგენია, რომ თუნდაც ერთი დღით შეჩერდეს პოლიგრაფიული წარმოება და ჩვენი ცხოვრება არევ დარევის, კაუგებრობის მსხვერპლი არ გახდეს—უდაბნოს არ დაემსგავსოს?

ჩვენ ხშირად ვყოფილვართ მოწმეები ასეთი ურათისა მბეჭდავების დიდი გაფიცვების დროს 1902—3—4 და 5 წლებში, როგორც საქართველოში, აგრეთვე რუსეთის დიდ ქალაქებში.

ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიგრაფიულ წარმოებას საზოგადოთ ყველგან.

მოსპეთ პოლიგრაფია და მყისვე ჩაუქრება ადამიანს მანათობელი ლამპარი, მოისპობა ცოცხალი აზრი, სიტყვა, განათლება, სწავლა, გაიყინება ადამიანის გონება.

აი რატომ არის ის ამხ. ტროცკის თქმით—„რევოლიუციის იარაღი".

კერძოდ რუსეთის პროლეტარულმა მუშათა კლასმა სწორედ ამ იარაღით დიდათ წასწია წინ რევოლიუციის გამარჯვების საქმე.

დღეს მუშათა კლასის თვითგანვითარების და განათლების ხანა დადგა. ამიტომაც არის, რომ დღეს მთელ საბჭოთა სახელმწიფოებში იბეჭდება დიდძალი რევოლიუციონური ლიტერატურა.

აქედან ცხადია, რომ მუშათა კლასს, არ შეუძლიან ხელიდან გაუშვას ეს „რევოლიუციის იარაღი".

საქართ. ბეჭდვითი საქმის პროფკავშირის გამგეობის ერთ სხდომაზე, რუსეთის პოლიგრაფიულ წარმოების ცენტრალურ კომიტეტის ერთმა წევრმა მოხსენების დროს გადმოგვცა, რომ—მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში პოლიგრაფიული წარმოების საქმე ჩინებულად არის დაყენებული, მაინც ამოტივტივდა ინტელიგენტთა ერთი ჯგუფი, რომელიც ძერძო საკუთრების შეძენის მანიით არის შეპყრობილი და რომელმაც მოინდომა [illegible] და კონცენტრაციის [illegible] პოლიგრაფიისთვის დიფერენციაცია მოეხდინა ხელში ჩაეგდოთ [illegible], მაგრამ მოსკოველმა მბეჭდავმა მუშებმა მათ, არა თუ სტამბები მიცეცით, არამედ არც ერთი ასო არ დავანებეთო.

მკითხველებს უნდა მოვახსენოთ, რომ მსგავს მოვლენას ჩვენი, საქართველოს პოლიგრაფიულ ცხოვრებაშიაც ქონდა ადგილი და აქაც, როგორც რუსეთში ერთმა ჯგუფმა, ილიუზიებით შეპყრობილმა და ლაღად მოაზროვნე ინტელიგენციამ „მოიაზრა" პოლიგრაფიის დაუფლება, მაგრამ აქაც, როგორც რუსეთში ჩვენი მუშები (საერთო ყრილობის დადგენილების სახით) მაგრად შეებრძოლნენ თავიანთ „მოწინააღმდეგეებს" და პოლიგრაფია, როგორც ასეთი, მთლიანად გადაარჩინეს განიავებას, მხოლოდ საქმე იმით დათავდა, რომ ერთი სტამბა (№ 2-ლი) გადაეცა „ზაკრაიკომს", რომელსაც ამ ჟამად უწოდებენ „ზარია ვოსტოკას" სტამბას.

აქედანაც აშკარადა სჩანს, რომ მუშებს უფრო კარგად ჰქონიათ შესწავლილი „რევოლიუციის იარაღის" მნიშვნელობა და რაც მთავარი და აღსანიშნავია—**მისი გაბრთხილება და შენახვა.**

საქართველოს პოლიგრაფიულ წარმოების კონცეტრაცია ნაციონალიზაციის სახით დიდი ხანია რაც დათავდა, იგი ამ ჟამად ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, აქვს 5 დიდი სტამბა, 1 ლიტოგრაფია, სახაზავი ქარხანა, საწერ-ქაღალდების კარკი მაღაზია, ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა, არის პოლიგრაფიული სასწავლებელი, რომელიც დღეს უნდა გაიხსნას ზეიმით, ამუშავებს დაახლოვებით 1,000 კაცამდე და ყველა ამ მუშებს პირნათლად აკმაყოფილებს ჯამაგირების სახით და სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ პოლიგრაფიის მუშები (მბეჭდავები) გაცილებით უკეთეს პირობებში არიან ჩაყენებულნი **შედარებით სხვა დარგის მუშებთან.**

ასეთ მნიშვნელოვან წარმოებას არც ერთი „ინტელიგენტური" პიროვნება არ უდგას სათავეში; მას განაგებენ მხოლოდ და მხოლოდ სტამბის წიაღიდან გამოსული მბეჭდავი მუშები, რომელსაც მეთაურობს ძველი კომუნისტი და რევოლიუციონერი ასოთ-ამწყობი მუშა ამხ. ვანო ბოლქვაძე.

ასეთ აყვავების ხანას განიცდის ჩვენი ნორჩი პოლიგრაფიული წარმოების ცხოვრება და თუ ვინმე კანიზრახავს მას ხელი შეახოს, იგი ჩაიდენს უდიდეს ღალატს, ვინაიდან როგორც ვსთქვით, ბევრმა დღესაც არ იცის და ბევრისთვის ჯერაც ამოცანას შეადგენს პოლიგრაფიულ წარმოების მნიშვნელობა და ის გარემოებაც თუ—რა აქვს რევოლიუციასთან ბეჭვდითი საქმეს.

ეს ასეა პოლიგრაფიის წარმოების ცხოვრებაში, მაგრამ სამწუხაროდ ასეთი სანუკეშო მდგომარეობა არ არის სხვაგან



# რევოლიუციის რკინის რაზმი

ხუთი წელიწადია ხელისუფლების სათავეში სდგას რუსეთის პროლეტარიატი, და დღეს მისი მოწინააღმდეგენიც კი ხედავენ, რომ მაგრდება და მტკიცდება ეს ხელისუფლება, ღრმად იდგამს მძლავრ ფესვებს დედა-მიწის სიღრმეში, გარს ერტყმება ამ ფესვებით რუსეთის ნოყიერ მიწას, ახლად გარდაქმნის რუსეთის ხალხს, გოლაითის რკინის ხელებით მიჰყავს მილიონები მშრომელი ხალხისა ნარეკლით მოფენილი და სისხლით გადაწითლებულ გზაზედ, მიჰყავს იგი მავთულების ხლართულებს იქით, მტრის საშინელ ცეცხლის ქვეშ, სიმშილ-გამეფებულ უდაბნოში—ერთიანი კაცობრიობის ბრწყინვალე გამარჯვებისაკენ. როგორ მოხდა ეს ისტორიული სასწაული, რომელსაც პირდაღებული და სიბრაზისაგან გაცოფებული შეჰყურებს ყველა ქვეყნის მეშჩანობა? რასაკვირველია აქ „ბრალდებათ" პირველ ყოვლისა საერთო ისტორიულ ჩარჩოების, რომლის ფარგლებშიაც მიდიოდენ თუჯის ნაბიჯებით შავი შრომის ბათალიონები, რომელნიც ამბობდენ დახავსებულ და საზიზღარ რეჟიმს. ისტორიამ მისცა რუსეთის მუშათა კლასს უჩვეულოდ ხელსაყრელი პირობები თავისი გამარჯვებისათვის: რუსეთის თვითმპყრობელობის ომისაგან განადგურებული ეშმაკისებური მანქანა, სუსტი ბურჟუაზია, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოესწრო იმპერიალისტური ბასრი კბილების დალესვა, იმდენათ სულელი კი იყო, რომ ომის დროს დაქსაქსა „ცარიზმის" ძალები; გლეხობის ძლიერი სტიქიური ფენები, რომელიც ჯერ კიდევ „არ გაუღენთილიყო პატრიოტიზმით" რომელსაც თავაშვებული სიძულვილი ჰქონდა მემამულებისა და უჩვეული წყურვილი იმ მიწის მიღებისა, რომელიც კაპოხიერებული იყო გლეხების ოფლით. აი რამ არგუნა გამარჯვება პროლეტარულ არწივს, რომელმაც გაინავარდა ჰაერში, ფართოდ გაშალა რა თავისი ახალგაზრდა ფრთები. მაგრამ ამ პირობებთანერთად იყო კიდევ ერთი პირობაც; ეს იყო თავგამოდებით—გმირული რკინის რაზმი რევოლიუციისა. ჩვენი პარტია, ისეთი პარტიაა, რომლის დაგვარაც არ ახსოვს ჯერჯერობით კლასიურ ბრძოლათა ისტორიას. პარტიამ რომელმაც გაიარა არალეგალური მუშაობის სასტიკი სკოლა წამლის კვამლში გამობრძმედა თავისი კლასიური ნებისყოფა, ტანჯვა-წამებასა და გაჭირვებაში გამოკვება თავისი შვილები, აღზრდა და ფეხზედ დააყენა პირველ ხარისხოვანი მუშები—ციხე—ბურჯნი, რომელიც წილად ხვდა მთელი ქვეყნის დაპყრობა და გარდაქმნა. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ იქმნებოდა ასეთი პარტია, ზერელედ მაინც უნდა გადავავლოთ თვალი მისი განვითარების ზოგიერთ ძირითად ნიშნებს. პირველ ყოვლისა რამოდენიმე სიტყვა მისი მთავარი შტაბის შესახებ. ეხლა უკვე აღიარებულია ჩვენი მოწინააღმდეგებისაგანაც კი, რომ ჩვენ გვქონდა პირველ ხარისხოვანი ხელმძღვანელობა. გერმანული ბურჟუაზიის ერთი მსხვილი იდეოლოგთაგანი და თანამედროვე გერმანიის აზროვნების მბრძანებელი, გრაფი კეიზოლინგი, სწერს თავის წიგნშიც კი „Wirtschaft, Polttie Weishai" რომ საბჭოთა რუსეთის სიმტკიცე აიხსნება უმთავრესად მხოლოდ და მარტოოდენ იმით, რომ ამ რუსეთს ყავს ხელმძღვანელები, რომელნიც ბევრად აღემატებიან ყველა ბურჟუაზიული ქვეყნების ხელმძღვანელებს. ეს, რასაკვირველია, გადამეტება „მხოლოდ და მარტოოდენ" საქმე ამით არ თავდება, მაგრამ ბევრი რამ რომ ამით აიხსნება, არც ეს არის სადავო.

მაშ რაშია საქმე? საქმე არის მეთაურთა სისწორით შერჩევაში, ისეთ შერჩევაში რომელიც მოგვცემდა მათ სათანადო კვალიფიკაციისა და აბსოლიუტურ შეკავშირების, ერთიანი ნების ყოფის გარანტიას. და აი სწორედ ამ ლოზუნგების ქვეშ მუშავდებოდა პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი მომენტები. აქ პარტიის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის ამხ. ლენინს. ის, რაც ოპორტიუნიზმის ფილისტრებს მიაჩნდათ „ანტი-დემოკრატიზმათ", „შეთქმულებათ", „პირად დიქტატურად", „სულიერ მოუთმენლობად" და სხვ.—ნამდვილად იყო უშესანიშნავესი ორგანიზაციული პრინციპი. შერჩევა თანამოაზრეთა ისეთი ჯგუფისა, რომელნიც იწვიან ერთი და იმავე რევოლიუციონური ცეცხლით და რომელიც იმავ დროს სავსებით ერთნი არიან თავისი შეხედულებით, იყო პირველი აუცილებელი პირობა გამარჯვებისათვის. ეს პირობა უზრუნველყოფილი იყო დაუნდობელი გაკიცხვითა და აღმოფხვრით ყოველგვარი გიდახრისა ორთოდოქსალური ბოლშევიზმიდან. მაგრამ ასეთმა დაუნდობელმა გაკიცხვამ, მუდმივმა წმენდამ შეამჭიდროვა ძირითადი პარტიული ჯგუფის რიგები ისეთ მუჭად, რომლის გახსნაც არ შეუძლია არავითარ ძალას. შემდეგ ამ მუჭის გარშემო კავშირდებოდენ დანარჩენი ე. ი. ძირითადი პარტიული რაზმები. ბოლშევიზმის მკაცრი დისციპლინა, სპარტანული შემჭიდროება მისი რიგებისა, მისი სასტიკი „ფრაქციულობა" მაინც კი როდესაც დროებით შეთანხმებული იყვნენ მენშევიკებთან, უკიდურესი ერთგვარობა შეხედულობათა, ცენტრალურობა ყველა რიგებისა—იყო ყოველთვის დამახასიათებელი ნიშნები ჩვენი პარტიისა. ყველა პარტიული მუშაკი უზომოდ ერთგული იყო პარტიისა; პარტიული „პატრიოტიზმი", განსაკუთრებითი სიცხარე და ერთგულობა პარტიულ დირექტივების გატარებაში, დაუნდობელი ბრძოლა მოწინააღმდეგე ჯგუფებთან ყველგან—ფაბრიკებსა და ქარხნებში, საჯარო კრებებზედ, კლუბებში, თუ ციხეშიც კი—ქმნიდა ჩვენ პარტიის სახეში რაღაც თავისებურ რევოლიუციურ ორდენს, ამიტომ სწორედ ასე სასტიკად ეზიზღებოდათ „ბოლშევიკის" ტიპი ყველა ლიბერალურ და რეფორმისტულ ჯგუფებს. ყველა „უთავოებს", „სუსტებს", „ფართოებს" და „მომთმენიანებს". ამავე დროს პარტიის წევრებისაგან მოითხოვდენ ნამდვილ პარტიულ მუშაობას მასსაში, მუშაობას ყოველგვარ პირობებში, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა და დაბრკოლებისა. მოვიგონოთ, რომ სწორედ ამ პუნქტის შესახებ დაიწყო პირველი დავა მენშევიკებთან. სწორედ აქ სწარმოებდა კადრების შერჩევის პროცესი. არა მოლაყბეთაგან, არა „სიმპატიურად განწყობილი" ინტელიგენციისაგან, რომელიც დღეს აქ არის და ხვალ კი იქ, არამედ რევოლიუციისათვის განმზადებული ხალხისაგან, გაჩაღებული ბრძოლისათვის გამზადებული პირებისაგან, ისეთებისაგან, რომელნიც მზად იყვნენ პარტიის გამარჯვებისათვის წასულიყვნენ კატორღაში, ბარიკატებზედ, მუდამ ეხეტიალათ და მუდამ დევნაში ყოფილიყვნენ.

ასე იქმნებოდა და ამ გვარად ეყრებოდა საფუძველი ჩვენი პარტიის მეორე წრეს—მუშა—ბოლშევიკების ძირითად რაზმებს. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად ჩვენი პარტია არასდროს არ ყოფილა სექტანტური, კარჩაკეტილი პარტია. აი ამას კი გადაჭრით უნდა გაუსვათ ხაზი. იგი არასდროს არ უყურებდა თავის თავს, როგორც თვის მიზანს. იგი უყურებდა თავის თავს, როგორც ფოლადის იარაღს, რომელიც ამუშავებდა მასების გონებას, აკავშირებდა ამ მასებს და ხელმძღვანელობდა მათ, ვინაიდან პოლიტიკური დიალექტიკის მთელი ხელოვნება მდგომარეობს იმაში, რომ გეყოლება შეკავშირებული და მწყობრი რაზმები, არ ჩაიკეტო, არ გახდე. სექტად, არ გაიყინო ერთ წერტილზედ, არამედ იყო მართლაც და მამოძრავებელი ძალა, რომელიც აბრუნებს მთელი კლასისა და მთელი მშრომელი ხალხის გიგანტურ ბორბლებს. და აქაც, ჩვენი პარტიის ისტორია, განსაკუთრებით მისი რევოლიუციური პერიოდის ისტორია გვიჩვენებს თუ როგორი სიფხიზლით ეპყრობოდა პარტია მასების მოთხოვნილებას. ვინ მოქმედებდა ყველაზე უფრო ენერგიულად იმპერიალისტური არმიის ჯარის კაცებში, მაშინ, როდესაც ამისათვის ოფიცრობა ცოცხლად დაგლეჯდა ასეთს აგიტატორს?—ბოლშევიკი, ვინ იყო რომ დაუღალავად რაზმავდა, და აგიტაციას ეწეოდა მათში?—ბოლშევიკი. არ უშვებდა რა არც ერთ შესაძლოებას მასსებზედ გავლენის მოსახდენად, იყენებდა რა ამისათვის მეფის სათათბიროს, პროფესიონალურ მუშათა კავშირს, კლუბებს, საკვირაო სკოლას და ფაბრიკის სასადილოს, ყველგან, ყოველ ადგილას იყო ყველგან შეძრომის უნარის მქონე და ყველგან მსუქვავი ბოლშევიკი, რომელიც თანამედროვე ბელეტრისტის სიტყვით „ენერგიულად მუშაობდა" იგი—ეს ბოლშევიკი ყოველთვის „ენერგიულად მუშაობდა", ვინაიდან ჩვენი პარტია მუდამ იყო კლასის პარტია და ამის მეოხებით კი მასსის პარტიაც. ასე ეწყობოდა მესამე და მეოთხე წრე, რომელიც უკვე გამოდიოდა პაარტიის ფარგლებიდან.

წრე მუშათა ორგანიზაციებისა, რომელნიც იდგენ პარტიის გავლენის ქვეშ, და წრე მთელი კლასისა და მასსისა, რომელსაც ყველა ამ ორგანიზაციების საშვალებით ხელმძღვანელობდა საკუთარი პარტიული ავანგარდი. ეხლა საჭიროა შევჩერდეთ ჩვენი პარტიული პოლიტიკის ზოგიერთ ნაწილებზედ, რომელნიც სწორედ ასევე ხსნიან რუსეთის კომუნისტურ პარტიის ამ დიად გამარჯვებას. პირველ ყოვლისა თეორეტიული, მარქსისტული სიმტკიცე, ტყვილად კი არ ხსნიდა მარტოვი ერთხელ 1921 წლის გაზაფხულის კრიზისის შემდეგ, ბოლშევიკური დიქტატურის შენარჩუნებას იმ გარემოებით, რომ პარტიამ, ასე იყო თუ ისე გაიარა „მარქსისტული სკოლა". დიახ, პარტიამ გაიარა კარგი მარქსისტული სკოლა. თეორეტიული წინასწარ გარკვევა მოვლენათა მსვლელობისა, ანალიზი კლასიური ჯგუფებისა. „ანგარიში მილიონობით", რაც, როგორც ამას შესანიშნავად განსაზღვრავს ამხ. ლე-

დღეს ბევრს ლაპარაკობენ თამბაქოს ტრესტის კრიზისის შესახებ:—თამბაქოს ტრესტი იღუპება!—ასე გაიძახიან ყოველ ნაბიჯზე;—ეს მართალია მაგრამ რა იყო მთავარი მიზეზი თამბაქოს ტრესტის კრიზისისა? შეიძლება ეს საკითხი მკითხველისათვის ძალიან საიტერესო იყოს, მაგრამ რადგანაც ამ წერილში ჩვენს მიზანს არ შეადგენს შევეხოთ თამბაქოს ტრესტის მდგომარეობას, ამიტომ შეიძლება ეს საკითხი გადავდვათ შემდეგისათვის, ხოლო ერთ გარემოებას კი უეჭველად ახლავე ხაზს გაუსვამთ:

—როდესაც საქართველოში მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება და მას თან მოჰყვა წარმოებათა ნაციონალიზაციაც, თამბაქოს ტრესტს, **სათავეში გამოცდილი რევოლიუციონერი მუშები კი არ მოექცნენ**, არამედ თამბაქოს ტრესტი ხელში ჩაუვარდათ (ვითომ და როგორც სპეცებს) სეილანოვის და ენფიჯიანცის ძველ მსახურებს და თუ იქ კრიზისს ალაგი დაურჩა—ეს ახალი ამბავი არ გახლავთ.

მაგრამ პოლიგრაფიულ წარმოებაში ასეთ გარემოებას ერთი წუთითაც ალაგი არა ჰქონია და იმიტომ დარჩა პოლიგრაფია გამარჯვებული და რომ სახელმწიფოს ყოველ წარმოებას სათავეში დარაჯად ჰყავდეს ისეთი მუშა, როგორიც არის ასოთ-ამწყობი ამხ. ვანო ბოლქვაძე—რაღა უჭირს მაშინ თანამედროვე მუშათა მოძრაობას?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა შეცდომები უეჭველად უნდა გამოსწორდეს და **შეცდომა** მხოლოდ გაკვეთილად უნდა დარჩეს.

ჩვენ გვჯერა, რომ პოლიგრაფიის ცხოვრებაშიაც უეჭველად იქნება უმნიშვნელო დეფექტები და იმედია შეკრებილი მუშათა ყრილობა აღნიშნავს მას, ჩაჰკლავს ამ დეფექტებს და ისე როგორც წარსულში, შეეცდება—გააუმჯობესოს უფრო უკეთესად თავისი მუშების ეკონომიური პირობები.

ამის ღირსნი არიან მბეჭდავი მუშები, ვინაიდან მათ დიდი სამსახური მიუძღვით ხალხის განთავისუფლების საქმეში—**როგორც წარმომადგენლებს „რევოლიუციის იარაღისას“ და როგორც ავანგარდს მუშათა კლასის მოძრაობისას.**

**გაუმარჯოს მბეჭდავ მუშებს!**

**გაუმარჯოს პოლიგრაფიულ წარმოებას!**

**სალამი დელეგატ მუშებს!**

მე-5-ე სტამბის ასოთ-ამწყობი **დ. მელაშვილი.**

# პელაგრისა და ანკილოსტომიაზისის ენდემიის აღმოჩენა საქართველოში

საქართველოს წითელ ჯვრის ექსპედიციამ სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ ექ. ნიკოლოზ მახვილაძის ხელმძღვანელობით, რომელიც მივლინებული იყო სამეცნიერო მიზნით სამკურნალო ფაკულტეტის მიერ დასავლეთ საქართველოში, აღმოაჩინა პელაგრის ენდემია ჩოხატაურისა და სურამის რაიონში.

პელაგრა წარმოადგენს ფრიად სერიოზულ ავადმყოფობას, რადგანაც იგი იწვევს კანის, კუჭნაწლავისა და ნევრო-ფსიქიური სფეროს დაზიანებას, მიმდინარეობს უმეტესად ქრონიკულად ათიათხუთმეტი წლიწადს, ავადმყოფს უკარგავს მუშაობის უნარს და ხშირად თავდება კახექსიითა და შეშლილობით. პელაგრა, როგორც ფიქრობენ წარმოსდგება სიმინდის ზედმეტი და ხანგრძლივი საზრდოობის გამო. მეტადრე მავნეა წამხდარი მომწარო სიმინდი. პელაგრა გავრცელებულია ჩვენში მეტადრე ღარიბ გლეხკაცთა შორის და მათ დიდ გაჭირვებას აყენებს, რადგან მათ არავითარი წარმოდგენ არა აქვთ ამ სნეულების შესახებ და წამლობენ როგორც „ნასიცხს“ ან ციებ-ცხელებიანს.

ამას გარდა ჩოხატაურის რაიონში აღმოჩნდა აგრეთვე ფრიად მავნე სნეულება ანკილოსტომიაზისი. ამ ავადმყოფობის გამომწვევია პაწაწა ნაწლავის ჭია—ანკილოსტომა, რომელიც იწვევს მძიმე სისხლნაკლებობას, გულის მანკსა და თუ დროზე არ უწამლეს ავადმყოფი იღუპება. ამ ავადმყოფობის წამლობა არ არის ძნელი და შესაძლოა სრული განკურნება. წამალიც შედარებით იაფია საკულისხმიეროა, რომ ფერმკრთალობა, რომელსაც იწვევს ანკილოსტომა წააგავს მალარიის სისხლნაკლულოვანებას და ამიტომ ანკილოსტომიაზით ავადმყოფთ აქნობამდე წამლობდენ ქინაქინით. ამისათვის ავადმყოფთა შორის აღმოჩნდა საშინელი მძიმე ფორმები. ანკილოსტომიაზისი გურიაში ფრიად გავრცელებულია მეტადრე ზოგიერთ სოფლებში (ს. ამაღლება, ჯვარცხმა, გოგოლის უბანი, ფარცხმა და სხვა). ბევრია ავადმყოფი ბავშვები, რომელიც ყურადღებას იპყრობენ თავისებური სიყვითლით. საერთოდ ხალხი დიდ გაჭირვებაშია; პელაგრა, ანკილოსტომიაზისი და აგრეთვე მალარია, რომელიც იქ საკმაოდ მძვინვარებს, გადაგვარების გზაზე აყენებს მას. საჭიროა დაუყოვნებლივ ფართოდ დაყენებული მასიური დახმარება.

ანკილოსტომიაზისი და პელაგრა შესაძლებელია აღმოჩნდეს აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებშიც, მაგალითად სამეგრელოში, სადაც არსებობს შესაფერი კლიმატიური პირობები. საინტერესოა აგრეთვე ყურადღება მიექცეს ჩვენ მაღაროების მუშებსაც, რადგან ანკილოსტომიაზისი ფრიად ხშირი მოვლენაა მაღაროებში, როგორც ამას გვიჩვენებს იტალიის, გერმანეთის და ბელგიის, აგრეთვე ევროპის სხვა ქვეყნების და ამერიკის მაგალითი.

სხვათა შორის ექსპედიციას ჩამოჰყვა რამდენიმე ავადმყოფი პელაგრითა და ანკილოსტომიაზით, რომელნიც მოთავსებულნი არიან სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის თერაპიულ კლინიკაში.

წითელ ჯვრის საზოგადოების პრეზიდიუმმა მოისმინა რა ასისტენტ ნ. მახვილაძის მოხსენება, დაადგინა:

1) გაიგზავნოს პელაგრისა და ანკილოსტომიაზისით დაავადებულ ადგილებში სპეციალური ექსპედიცია ხსენებულ სენებთან საბრძოლველად;

2) მოაწყოს წინასწარი მოკლე კურსები ექსპედიციაში მიმავალ პერსონალისათვის პელგარისა და ანკილოსტომიაზისის შესასწავლად;

3) გამოსცეს პოპულარული ბროშურები პელაგრისა და ანკილოსტომიაზისის შესახებ ხალხში გასავრცელებლად.

კურსების ხელმძღვანელობა და ბროშურების შედგენა ეთხოვოს ასისტენტს ნ. მახვილაძეს.

# სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გზაზე დადგომამ, მრავალი მოთხოვნილებები წამოაყენა ეკონომიურ განვითარების უზრუნველყოფის და მისი ნაყოფიერობის შესაქმნელად. არა მარტო კრედიტის ძრავალგვარი ფორმები შეიქმნა საჭირო ამ განვითარების ხელის შესაწყობად, არამედ აუცილებელი გახდა განცალკევებულ მეურნეობათა დაკავშირება სტიქიურ უბედურებათა შედეგების იოლად გადატანისა და განადგურებისაგან თავდაცვისათვის. ამ უკანასკნელ დანიშნულებას მთელი სახალხო მეურნეობის მიმართ ასრულებს დაზღვევა. ჩვენში დაზღვევის საქმე რევოლიუციამდე ხელში ეპყრათ კერძო აქციონერულ საზოგადოებებს, რომლითაც ერთმანეთს შორის მწვავე მეტოქეობა ქონდათ გაჩაღებული. ამ გარემოების გამო დაზღვევა ხშირად მრავალგვარ ბოროტმოქმედებას იწვევდა და მთავარი მიზანი განუხორციელებელი რჩებოდა.

მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპაში,—გერმანიისა, იტალიისა და შვეიცარიაში, ნაწილობრივ კი სხვა ქვეყნებშიც დაზღვევის მონოპოლია სახელმწიფოს ხელთ იყო, ჩვენში ეს საქმე შემთხვევითი აგენტების ხელში იყო ჩაგდებული.

რევოლიუციამ მოსპო დაზღვევ ორგანიზაციების ყველა არსებული სახენი, საბჭოთა კანონმდებლობა მიიღო დაზღვევის მონოპოლია და ის სავსებით სახელმწიფოს მიეკუთვნა 1922 წელს, ოქტომბერში, სახელმწიფო დაზღვევის განყოფილება ჩვენშიც დაარსდა უმთავრესი ყურადღება მიქცეული არის ქონებრივი დაზღვევის ორგანიზაციისაკენ. ამა წლის ივნისის დეკრეტით შემოღებულია სავალდებულო გაწერილი დაზღვევა ყველა კერძო პირთა კუთვნილ უძრავ ქონებისა. რუსეთში კი ასეთი სავალდებულო დაზღვევა მთელს ტერიტორიაზე მოქმედებს შორეული მხარეების გამოკლებით.

მაგრამ არსებული სახენი საზღვევისა ჩვენში არ არიან საკმარისნი ადგილობრივი პირობების გათვალისწინების შემდეგ სავალდებულო დაზღვევა უძრავ ქონებისა ვერ ამოსწურავს ადგილობრივ საჭიროებებს დაზღვევის საქმეში, ჩვენი მხარე სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა; მიუხედავად იმისა რომ ის ინტენსიურ ხასიათს ვერ ატარებს და ჯერ კიდევ პრიმიტიულ მდგომარეობაშია,—ჩვენში მაინც საკმაო საჭიროებაა სასოფლო მეურნეობის დარგთა დაზღვევისა. მაღალ კულტურულ სამეურნეო დარგების განვითარება ჩვენში მიმოვლის საკითხი აღარ არის და დღესაც მრავალი ისეთი დარგი არსებობს სასოფლო მეურნეობაში, რომლის განვითარება და ხელის შეწყობა ჩვენი მეურნეობის ძირითად ინტერესს წარმოადგენს.

მევენახეობა, მებამბეობა, მეთამბაქოობა, ჩაის კულტურა,—ყველა ეს დარგები საკმაოდ მნიშვნელოვანს როლს ასრულებენ ჩვენში და მათი სტიქიურ უბედურებათაგან დაცვა სასოფლო კულტურის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. ამათ გარდა ჩვენი სოფელი წარმოუდგენელი ზარალს განიცდის ყოველწლიურად საქონლის ამოხოცვით სხვა და სხვა გადამდებ სენის გამო. დღესაც ეპიზოტია წარმოუდგენელ ზარალს აყენებს სასოფლო კულტურის არა მარტო მუშა და პროდუქტების მიმცემ საქონლების დაღუპვით, არამედ ზოგიერთი სახე ეპიზოტიისა თვით მეურნეთაც აავადმყოფებს და ამით მუშა ხელს აკლის სოფლის მეურნეობას.

რუსეთში სავალდებულო სასოფლო სამეურნეო დაზღვევა უკვე განხორციელებულია. წინად სეტყვისაგან დაზღვევა, ისე როგორც ჩვენში, არც იქ იყო შემღებული. 1922 წელს კი 42 გუბერნიაში ტარდება. სასოფლო სამეურნეო ცხოველთა დაზღვევა, ატარებს რა იძულებით ხასიათს, უმთავრესად მსხვილ რქიან საქონელზე ვრცელდება. 1922 წელს დაზღვევის ეს სახე 10 გუბერნიაში მოქმედებდა, ხოლო 1923 წელს კი 36 გუბერნიაში არის შემოღებული.

ასე რომ რუსეთში სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა მიმართ ანგარიში უკვე გაწეული არის და სასოფლო სამეურნეო დაზღვევა იძულებითი ფორმით თითქმის ყველგან ხორციელდება.

ჩვენში კი დღემდე სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა ნებაყოფლობით სურვილზეა დამოკიდებული. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელი იქნება. თუ კი ჩვენი მზრუნველობის საგანს წარმოადგენს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია და მის მაღალ კულტურულ სამეურნეო დარგებზე გადასვლა,—შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ ამ კულტურათა დაცვის და განვითარების საქმე. სასოფლო სამეურნეო ცხოველთა დაზღვევა კიდევ უფრო საგრძნობელ საჭიროებას წარმოადგენს სახელმწიფო შეუძლებელია დაინტერესებული არ იქნეს მასში, რომ ეპიზოტია დაუყონებლივ იქნეს აღმოფხვრილი; ეს კი შესაძლებელი გახდება ხშირად ავადმყოფ საქონელთა მოსპობით. მაგრამ ასეთი მოსპობა მხოლოდ მაშინ შეიძლება უმტკივნეულოდ ჩატარდეს ერთეულ მეურნეობათათვის, როდესაც ცხოველის მოსპობა მის ქონებრივად არ დაზარალებს და ზარალი აუნაზღაურდება. ამ გზით უეჭველად დიდი შედეგები იქნება მიღწეული ეპიზოტიის გავრცელების საწინააღმდეგო ბრძოლის დროს. მხოლოდ სახელმწიფო იძულებით დაზღვევის საშუალებით იქნება შესაძლებელი ამ ბრძოლის რაციონალური წარმოება.

მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო იძულებითი დაზღვევის განხორციელება ჩვენში დღიური საკითხია; ეს დაზღვევა ჯერჯერობით ორი სახის უნდა იყოს: 1) სეტყვისაგან დაზღვევა და 2) საქონლის დაზღვევა. შემდეგში შესაძლებელი შეიქნება სხვა სხვა მავნე გარემოებებთანაც ბრძოლა დაზღვევის საშუალებით. დაუყონებლივ წარმოებულ უნდა იქნეს აგიტაცია დაზღვევის ამ სახეთა გასაცნობაც სოფლის მეურნეთათვის; შესაფერმა ორგანოებმა კი მუშაობა უნდა გასწიონ დაზღვევის ხსენებულ სახეთა სხვა და სხვა ფორმების და კონკრეტი პირობების შესასწავლად.

ი.—კ.

ნი,—შეადგენს პოლიტიკის მთავარ არსებას,—ყოველივე ეს უმაღლესად ახასიათებს ჩვენ პარტიულ ხელმძღვანელობას. მაგრამ აქ საჭიროა აღვნიშნოთ ერთი სპეციფიური განსაკუთრებული თვისება, რომელიც პერსონალურად ისახება პირველყოვლისა ამხ. ლენინში, როგორც ყველას მიერ ცნობილ ხელმძღვანელში მთელი პარტიისა. არასდროს მარქსიზმი არ გაყინულა ჩვენთვის ერთ მკვტარ წერტილზედ, არამედ იგი ყოველთვის იყო პრაქტიკის ცოცხალი იარაღი. არა ტექსტი არამედ სული. არა სქოლასტიკა და თალმუთიზმი არამედ გენიალური გაგება მარქსისტული დიალექტიკისა, როგორც პრაქტიკული ბრძოლის იარაღისა. ჩვენ გვაქვს მარქსისტული მოძღვრება, მაგრამ არა გვაქვს „მარქსისტული ცრუმორწმუნოება. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი ინსტრუმენტი, რომელიც იმყოფება ჩვენ ხელში და არა ჩვენა ვართ მის ხელში. და ეს ცოცხალი რევოლიუციონური მარქსიზმი მართლაც გვეხმარება სასწაულები მოვახდინოთ. აქედან გამომდინარეობს უდიდესი ელასტიურობა ტაქტიკისა. დიდი უმრავლესობა პოლიტიკური შეცდომებისა მდგომარეობს იმაში, რომ გადაქონდათ მეთოდები, რომელიც სწორი იყო ერთს მდგომარეობაში, სადაც ისინი უკვე საზიანონი ხდებიან.

მდგომარეობის კონკრეტიულობის შეუგნებლობობა და მაშასადამე უდიდესი კონკრეტიულობის აუცილებლობას ტაქტიკაში შეადგენს საფუძვლს შეცდომათა დიდი უმრავლესობისათვის. და სწორედ ამ დარგში შეიძლება ჩვენი პარტია ჩაითვალოს სამაგალითო პარტიად. იგი ახერხებდა ყოფილიყო ძალიან მომთმენიანი, როდესაც ანგარიში უნდა გაგვეწია მასსების „კეთილსინდისიერი“ გაუგებრობისათვის. მოვიგონოთ ის პერიოდი რომელიც უშვალოდ ახლდა თებერვლის რევოლიუციას, როდესაც „მოთმინებით უნდა აგვეხსნა“ ყველასათვის და დიდი თავდაჭერილობით მოგვექცია ხალხი ჩვენი გავლენის ქვეშ. მან შესძლო ყოფილიყო თავგამოდებულად თამამი და პირდაპირი, უმაგალითო სისწრაფით მომქმედი პარტია. ასე მოქმედობდა პარტია ოქტომბრის დღეებში. აქ ისტორიამ პარტია დააყენა დიდი ორომტრიალის წინაშე საჭირო იყო. ფხიზლად გაუწევდი რა ანგარიშს მთელ მდგომარეობას, გადაშვებულიყავით ამ ორომტრიალში, რომ გავეცურათ გიგანტურ ტალღასთან უმნიშვნელო მერყეობა, შეჩერება და არა პირდაპირობა დაღუპვას ნიშნავდა. საჭირო იყო უდიდესი თავხედობა, თავდადებული სითამამე და პირდაპირობა. პარტია გადაეშვა ამ ორომტრიალში და მოექცა ხელისუფლების სათავეში. მან იცოდა საჭეს არსებითად შეტრიალება, როდესაც ეს საჭირო იყო. პარტიის პოლიტიკის ეს ნაწილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუ ჩვენ მოვიგონებთ, როგორ დაეყრდნო პარტია გლეხობას, მიიღო რა სავსებით გლეხური ესერების მიერ შედგენილი პროგრამა: ან და როგორ იყო შეტრიალებული პარტიული და მასთან ერთად მთელი სახელმწიფოებრივი საჭე 1921 წელში „სამხედრო კომუნიზმიდან“ „ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ“.—ეს ორი მაგალითიც საკმარისი იქნება, რომ გავიგოთ პარტიული ტაქტიკის მთელი ელასტიურობა, რომელიც აერთებს მთელ რიალიზმს ჩვენი საბოლოო მიზნისაკენ მიმავალ მტკიცე ნაბიჯთან. მუშათა კლასს კაპიტალისტურ ჩარჩოებში არ შეუძლია გაიზარდოს ისეთ ძალად, რომელიც სავსებით მომწიფებული იქნება მთელი საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის. მუშათა კლასი დაჩაგრულია და დამონებული კაპიტალიზმისაგან. სავსებით წელში გასწორება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ დაამსხვრევს კაპიტალიზმის ბორკილებს.

იგი ამზადებს თავის ძალებს, თავის ადმინისტრატორებს. იგი იზრდება ნამდვილ მმართველად მთელი საზოგადოებისა—მხოლოდ თავის დიქტატურის პერიოდში. ამ დროს ამ პერიოდის განმავლობაში იგი“ გარდაქმნისთვის საკუთარ ბუნებას და მონიდან იქცევა ხელმძღვანელად და შემოქმედად. ეს უდიდესი მუშაობა მოითხოვს ძალების უდიდეს დაჭიმვას როგორც მთელი მასსისაგან ისე მისი ავანგარდისაგან.

ჩვენ პარტიას შეუძლია იამაყოს. მან შექმნა თავისი სარდლები და წითელი მეომრები. მან შექმნა თავისი ადმინისტრატორები მუშათა წრიდან, რომელნიც დღეს მართავენ ქვეყანას. იგი ქმნის თავის რაზმს კულტურულ ფრონტზედაც და სამეურნეო ბრძოლის ფრონტზედაც ახალი შთამომავლობა, მოზარდი ახალგაზრდობა, ერთბაშად მოხვდება საბჭოთა სახელმწიფოს უზარმაზარ ლაბორატორიაში. გადიტანა რა საშინელი სამოქალაქო ომი, სიმშილი და გაჭირვება დიდი წითელი რესპუბლიკა კვლავ ფეხზე სდგება და მისი გამარჯვების საყვირი მოუწოდებს მთელი ქვეყნის მუშათა კლასს, კოლონიალურ მონებსა და მაშვრალთ სამკვდრო-სასიცოცხლო ომისაკენ კაპიტალის წინააღმდეგ უთვალავი არმიის წინ მიდის გმირ მებრძოლთა რაზმი, ჭრილობისა და იარების ნიშნებით დაღარული სახით. ბრწყინვალე დროშებით ხელში რომელიც დახვრეტილია ტყვიებით და დახეული ხიშტებით. იგი მიდის ყველაზედ წინ, იგი ყველას მოუწოდებს, იგი ყველას ხელმძღვანელობს. ვინაიდგან იგი არის პროლეტარული რევოლიუციის რკინის რაზმი, რუსეთის კომუნისტური პარტია.

ნ. ბუხარინი.

# კორესპონდენცია

### ტობანიერის თემი

ამ თემში წელს მოსავალს კარგი პირი უჩანდა, შედარებით წასულ წლებთან. თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში გვარიანი ამინდები იდგა, როგორც ნათესებისთვის აგრეთვე ვენახისთვისაც. დიდ იმედებს ამყარებდა საწყალი მუშა ხალხი მოსავალზე, მაგრამ ბუნებამ მათ ბოლოხანებში გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა. როგორც კი დადგა დრო მოსავლის მოწევისა დაიწყო საშინელი წვიმები. თუ ერთი დღე მზიანი იქნებოდა—მეორე აუცილებლათ წვიმიანი უნდა ყოფილიყო. რის ვაი ვაგლახით საწყალმა ხალხმა ნაწილი თავის ნაშრომისა მოაკროვა, ნაწილი კი სულ მთლათ ჩაულპა. მუდმივი წვიმების გამო მდინარეები ადიდდა, მათ შორის მთის მდინარე ყუმურიც, რომელიც ადგილობრივ ბაზარს ჩამოუდის და რომელიც ზაფხულობით ისე კლებულობს, რომ ადვილათ შეიძლება უხიდოდაც გადავლა. ამ ბოლო ხანებში, მთელი ერთი კვირის კოკისპირულ წვიმების გამო, ეს პატარა მდინარეკ საშინლათ ადიდდა და კვირას, 5 ნოემბერს, მდინარის ტალღები გამძაფრებით ცემდა როგორც ღდიპარის ნაპირებს, ისე ზედ გადებულ ხიდსაც. ხალხი ორივე მხარეზე ბლომათაა შეკრებილი და ამ დროს ერთ ნაპირიდან გამოდის სამი ადამიანი. მათთვის გამოსვლა აუცილებელი იყო. შედგენ ხიდზე და როდესაც წინ მომავალ ქალს ერთი საჟენი უკლდა გამოსვლას. გადავარდა წყალში და ამრიგათ, თვალის დახამხამებაში შთანთქა აზვირთებულმა მდინარის ტალღებმა საბრალო მსხვერპლი. ატყდა ორივე ნაპირიდან საშინელი ყვირილი და ხალხი მოუწოდებდა საშველათ ვიღაცას—ვის, არც თითონ იცოდენ.. ამ დროს, ვნახოთ გამოდის ხალხიდან ხანში შესული თეოფილე ფარცხალაძე და როდესაც ქალი უკვე გატაცებული იყო კარგა შორ მანძილზე, იშვერს ფეხს და თავყანწირვით ვარდება მდინარეში უდანაშაულო მსხვერპლის გადასარჩენათ. ვაი-ვაგლახით, მდინარის ტალღებთან სასტიკ ბრძოლის შემდეგ—მას ნაპირზე გამოაქვს ცოცხალ მკვდარი ქალი. დამსწრე საზოგადოება აღტაცებით შეხვდება გადამრჩენელს.

დამსწრეთაგანი.

### სამტრედია

**რკინის გზის მუშათა თეატრი.** კვირას 2 ნოემბერს გაიხსნა რკინის გზის მუშათა თეატრში ზამთრის სეზონი. წარმოადგინეს პიესა „სურამის ციხე“ ახლად გადაკეთებული „კოტანგესის“ მიერ. რაც შეეხება პიესას კარგი გადაკეთებული იყო.

მომიხვდა ზოგიერთ ადგილზე პიესა „სურამის ციხეს“ დასწოება სადაც მარტო დიალოგები ამოელოთ და არაფერს არ გავდა. აქ ასე არ იყო პიესა რაც შეიძლება კარგი გადაკეთებული იყო. აგრეთვე როლებსაც კარგად ასრულებდენ. კარგი იყო ნოდარის როლში თვით რეჟისორი ალ. კორძაია. პირველი სურათი გვარიანად ჩატარდა. კარგად თამაშობდა ნატუას როლში მ. მიქელაძე, რაც შეეხება მეორე სურათის ჩატარებას სიკუდეს ვერ დავწამებთ. ძალიან კარგი იყო სურათის ბოლო ბატონის და მისი ცოლ-შვილის სიკვდილი. კარგად თამაშობდა მესამე სურათში დურმიშხანი (მ. კვარცხავა) და ვარდუა (ბ. ნინიძე).

ოსმან-აღას და დურმიშხანის შეხვედრა კარგად ჩატარდა, რომელიც შეიცავდა მეოთხე სურათს. დურმიშხანის მიერ დანიშვნა ოსმან-აღას ნათლულის რაღაც მოუხერხებლად იყო, მიუხედავად იმისა რომ დურმიშხანის საცოლე (თ. ნინიძე) კარგად თამაშობდა.

სურათ მეშვიდეში ქალბატონის როლში (მჟავანაძე) გვარიანად მოისუსტებდა, ხოლო ვარდუას მეტი სიკარგე ეტყობოდა. მერვე სურათმა ვერ გაამართლა იმედები. დურმიშხანი მოისუსტებდა, ზურაბის გრიმი არ იყო შესაფერისი, სად ზურაბი 16 წლის და სად ულვაშები. მეცხრე სურათი კარგად

ჩატარდა. აგრეთვე მეათეც კარგად ჩატარდა. დედის როლში რომ თ. ნინიძე არ ყოფილიყო, არ ვიცი რას დაემსგავსებოდა მეათე სურათი, ბოლოს იყო ცოცხალი სურათი; გაგიჟებული დედა ციხის კედელს ხელს უსვამს და დასტირის თავის შვილს ზურაბს.

ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ კარგად ჩაატარეს ბოლომდი: ელ. კორძაიამ, თ, ნინიძემ. ბ. ნინიძემ, კ. ნანეიშვილმა და მ. მიქელაძემ, უნდა აღვნიშნო, რომ მსახური ვერ იყო თავის ადგილზე. რას ლაპარაკობდა და როგორ წალმა-უკულმა დატრიალებდა თვითონ არ იცოდა. პიესას ეტყობოდა რეჟისორის ხელი.

**ან. მულუნელი.**

—:—

### იანეთის თემი (ქუთაისის მაზრა)

იანეთის თემი, სხვა პატარა თემებთან შედარებით კულტურულათ ყოველთვის წინ იდგა. მას ეტყობოდა სიცოცხლის ნიშან-წყალი. მოქმედებდა ყოველივე მოქმედებას, მოძრაობას იანეთისას, ხელს უწყობდა იანეთის ინტელიგენცია და განსაკუთრებით მასწავლებლობა. კულტუროსანი ხალხი. ენერგიულად მუშაობდა თემში; თავს დასტრიალებდა ადგილობრივ მცხოვრებთ, აარსებდენ ლიტერატურულ დრამატიულ და სხვა ასეთ მეცნიერულ წრეებს, საზოგადოებაში იკითხებოდა ლექციები სხვა და სხვა თემაზე და ხალხს აყვარებდენ სწავლას. დარწმუნდა, რა ხალხი მათ ენერგიულ მუშაობაში, არ შურავდა არავითარ საშუალებას კულტურულ საქმის ასაღორძინებლად, თუ კი მას მოითხოვდა საჭიროება. დღეს საუბედუროთ ჩვენდა იანეთის თემი მოდუნებულია. არის სიყუჩე ყოველ მხრივ. არ არსებობს არავითარი სამეცადინო წრეები, გარდა დრამატიულ წრისა, რომელიც ახალგაზრდა კომკავშირის წევრების მიერ. არის მოწყობილი მაგრამ უნდა ითქვას სიმართლე, რომ ეს წრე მეტათ სუსტია და იმდენათ არ არის დამაკმაყოფილებელი, რამდენადაც ეს საჭიროა დღევანდელ პირობებში: ინტელიგენცია სხვა და სხვა მიზეზების გამო სდუმს ან და მდგომარეობისა და სხვა მიზეზთა გამო არ უხდებათ ადგილობრივ ცხოვრება. მაგრამ ის პირები, რომლებიც იანეთში მსახურებენ, პატ. მასწავლებლებს, რა უშლის ხელს ასეთ კეთილ საქმისათვის ვერ გამიგია! მით უმეტეს, რომ მასწავლებელთა შემადგენლობა ერთის გარდა ადგილობრივი არ არიან და მუდამ თავისუფალი დრო აქვთ რომლებსაც შეუძლიან კულტურული საქმის გაკეთება თემში რატომ სდუმან! რატომ კეთილს არ ინებებენ, რომ გააცოცხლონ თემი და მით დაიმსახურონ კეთილი სახელი? პატ. მასწავლებელნო! ახალგაზრდა ენერგიით სავსენო! როგორც განათლებული, შეგნებული პირები შეუდექით თემში კულტურულ საქმის აღორძინებას შკოლის გარეთაც. დაარსეთ სხვა და სხვა მეცნიერული წრეები. გამოიწერეთ გაზეთები და წინ გაუძეხით ადგილობრივ მცხოვრებთ. ამით თქვენ საზოგადოებაში მოიხვეჭთ კეთილ სახელს და აგრეთვე შეგიყვარებს თქვენც თემის მკვიდრნიც!

**ბარისა ლექვეიშვილი.**

## ქრონიკა

**მ. აპოლიტოვ-ივანოვის ჩამოსვლა.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა კომპოზიტორი მ. იპპოლიტოვ-ივანოვი, რომელიც მოწვეულია სახალხო განათლების კომისარიატისაგან ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორათ.

—

**მხატვ. ვანო ხოჯაბეგოვის** ხსოვნის აღსანიშნავად სომეხთა „იარტუნის" დარბაზში 25 ნოემბერს შესდგება სამხატვრო საღამო, უნდა აღინიშნოს რომ, ვანო ბეგიჯანოვს სომეხთა მხატვრობაში უჭირავს „ფიროსმანის" ალაგი.

=—

**რითმის და პლასტიკის ინსტიტუტი.** საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა დაამტკიცა რითმის და პლასტიკის ინსტიტუტი სრბუი და ლეონ აზარპეტიანებისა (ყოფილი პლასტიკის და სცენიური მეტყველების სტუდია). ინსტიტუტის პროგრამა ორ ფაკულტეტად იყოფა: 1) სცენიურ ფაკულტეტად (მოცეკვავეთა მომზადება, კურსი სცენიური მეტყველებისა, დრამის, ოპერის და კინოს არტისტებისთვის) და 2) პედაგოგიურ ფაკულტეტად (რითმის და პლასტიკის მასწავლებელთა მომზადება დელსარტის მისტემით).

ინსტიტუტის კურსი სამწლიანია. მიიღებიან პირნი ორივე სქესისა 15 წლიდან დაწყებული. ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი იღებენ მოწმობას, რომელიც ანიჭებს მათ წოდებას და უფლებებს სასცენო მოღვაწისას და დელსარტის სისტემით პლასტიკით და რითმის მესწავლებლისას. მოწმობის მისაღწევათ საჭიროა აგრეთვე საშუალო განათლება.

ბავშვებისთვის და ყრმებისთვის ინსტიტუტთან არსებობს აღზრდილი განყოფილება, რომლის მიზანია ბავშვების ესთეტიური და რითმიული ფიზიკური აღზრდა. ამ განყოფილებაზე ბავშვები მიიღებიან 5 წლიდან. მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. სწავლის ფასია 3 მან. ჩერვონეცით თვეში. ყოველი სამოსწავლო წლის ბოლოში იმართება განვლილი კურსის საჯარო დემონსტრაცია. ჩაწერა და პირობების დაწვრილებითი გაგება შეიძლება დილის 12-დან 2-საათამდე ინსტიტუტის კანცელარიაში (ველიამინოვის ქ. № 32) საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე კი ბებუთოვის ქუჩაზე № 25.

—

### სახელმწიფო ოპერა

პუჩინის ოპერა „ტოსკა" ერთი ნიმუშთაგანია იმ მუსიკისა, რომელიც მისდევს რეალისტურ მიმართულებას. ეს ოპერა ეკუთვნის ეგრედ წოდებულ ვერისტების სკოლის ოპერებს, სადაც ორკესტრის აკომპანიმენტი, ერთსა და იმავე დროს, დამოუკიდებელიც არის თავის მელოდიებისა, ჰარმონიისა და მთელი წყობის მხრით და ლიბრეტოს შინაარსის გამომხატველიც.

ამ სკოლის წარმომადგენელნი არიან: იტალეთში—პუჩინი, ლეონკოვალო, ჯორდანო, გერმანეთში—რიხარდ შტრაუსი, რუსეთში კი პირველი ვერისტი იყო მუსორგსკი.

პუჩინის ოპერის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ მუსიკალური დრამის შინაარსი აღებულია მე-19 საუკუნის დასაწყისის ბნელი ეპოქიდან და მოქმედება სწარმოებს რომში, სადაც მოხდა, 1793 წ. დიდი რევოლიუციის შემდეგ საფრანგეთიდან განდევნილ, ბურბონების რესტავრაცია და, ამის გამო, იქ გამეფდა კლერიკალიზმი, პაპის მეთაურობით, რომის რესპუბლიკა გაუქმებული იქნა და ისტორიის ამ ფურცლებზედ იშლება ცნობილ მომღერალ ქალის ფლორია ტოსკასი, მისი სატრფოს, მხატვარ მარიო კავარდოსის და რომის საიდუმლო პოლიციის უფროსის—სკარპიას პირადი დრამა, (ყველა ეს პირები ისტორიულია).

ფლორია ტოსკას პარტიას საანგარიშო წარმოდგენაში ასრულებდა მსახიობი ქალი პანკრატოვი. მსახიობი მშვენივრად და დიდის დრამატიულის აღფრთოვანებით ასრულებს კოველურ ნაწილს პარტიის შესრულების დროს ბევრ დინამიურ ადგილებსა და ტემპერამენტს გვაძლევს პათეთიურ ადგილებში. სამწუხაროდ არ შემიძლიან აგრეთვე დამაკმაყოფილებლად ჩავთვალო სცენიური გადმოცემაც. ფლორია ტოსკას პარტია განსაკუთრებით ცხადი და ნათელია დრამატიულის სიტუაციით—აქ არის სიყვარულიც, ეჭვიანობაც, გულგატეხილობაც და ყოველივე ამას უნდა ხაზი გაესვას. ვერ მაკმაყოფილებს მე აგრეთვე მსახიობის ულტრა—თანამედროვე ტანისამოსი 1 მოქმედებაში (fin desiecle) მაშინ, როდესაც მოქმედება სწარმოებს ამ ასი წლის წინად, მეორე მოქმედებაში დაცულია ტანისამოსის სტილი, არა დამაკმაყოფილებელია გრიმიც, რომელიც აბერებს მსახიობ პანკრატოვს. მიუღებელია აგრეთვე ზოგიერთი mise en scène-ებიც, როგორც არის, მაგალითად, ლონემიხდილობისაგან იატაკზე წოლის დროს ლოცვის გალობა—ეს არა მხატვრულია; უფრო უკეთესი იქნებოდა ეს ამ ადგილის (რომელიც საუკეთესოა მთელს ოპერაში, როგორც solo) შესრულების დროს მსახიობი ჩამომჯდარიყო დივანზედ.

სცენა სკარპიასთან, როდესაც ეს უკანასკნელი იძულებულს ჰყოფს ტოსკას, მისცეს თანხმობა, რომ მას ეკუთვნოდეს, უკეთესია მსახიობმა უფრო ლირიულს ფერებში ჩაატაროს. მეტად კარგია სკარპიას უტიფრობის გამო აღშფოთების სცენა და აგრეთვე უკანასკნელი იმედ-დაკარგულობის სცენა, როდესაც საყვარელ ადამიანის—კავარდოსის—გვამს დაინახავს.

მსახიობმა ვაგგიმ ჯერ კიდევ შარშან, ოპერა „ოტელლო"-ში გამოსვლით, დაგვიმტკიცა, რომ არის არა გასტროლიორი, არამედ მხოლოდ კარგი მომღერალი. კავარდოსის პარტიის შესრულებით მან დაადისტურა ეს ჩვენ მიერ შემუშავებული აზრი. მსახიობი ვაგგი, მართლაც, მშვენიერი ვოკალისტია, მშვენიერი სკოლით, დამთავრებული ფრაზიროვკით, მუსიკალური მომღერალი, ადგილ-ადგილ ტემპერამენტით. დრამატიული გადმოცემა მსახიობისა პირველ მოქმედებაში მკრთალია, სამაგიეროდ მეტად კარგია მეორე მოქმედებაში—სკარპიასთან და მესამე მოქმედებაში ციხეში, დახვრეტის წინ. გრიმი კი საჭიროა მსახიობმა უფრო დამახასიათებელი გაიკეთოს.

ძალიან კარგია სკარპიას პარტიაში მსახიობი დევლეთი. მსახიობი სრულიად სწორედ უდგება ამ განვითარებულ ფორმაციის პოლიციის მოღვაწის ტიპს. იგი მშვიდია, არ ღელავს და არ გადადის საზღვრებს, მაგრამ, ამავე დროს, იგი საშიშარია და დაუნდობლად სასტიკი. მსახიობი დევლეთი ერთი საუკეთესო ამსრულებელთაგანია სკარპიას პარტიისა ტფილისში.

მეტად დამახასიათებელ ტიპს კათოლიკური ეკლესიის მსახურისას (sacristin) იძლევა ნიჭიერი მსახიობი დემიანენკო.

კურბატოვი კარგია ჯაშუშის როლში.

**პ. ბებუთაშვილი.**

—

**რუსთაველის თეატრი.** დღეს, ნოემბრის 18-ს, მეორედ წარმოდგენილი იქნება ჯონ-სინგ—ის პიესა „გმირი" კომ. 3 მოქმ. თარგმანი გ. რობაქიძისა, დადგმა კ. მარჯანიშვილის და ა. ახმეტელისა. დეკორაციები სიდამონ-ერისთავისა.

——

**სახალხო სახლი.** კვირას, ნოემბრის 18-ს, წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულს ენაზედ ლუნაჩარსკის ცნობილი პიესა „მეფის დალაქი" 5 სურათად, მონაწილეობას იღებენ წრის საუკეთესო ძალები, დადგმა მ. ლვამიჩავასი. მზადდება წარმოსადგენად „სტუმარ მასპინძლობა" ტ. რამიშვილისა.

——

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს, ნოემბრის 18-ს, წარმოდგენილი იქნება „რიგოლეტო" 4 მოქმედ. მუსიკა გუნოსი ბალეტი „ვალპურგის ღამე" ხორეოგრაფიული ფრაგმენტი, გუნოს მუსიკაზედ.

——

**საღამო გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ.** ორშაბათს, ნოემბრის 19-ს, სახალხო სახლის ადგილკომის და ქართულ-რუსულ დრამის გაერთიანებული ძალებით სახალხო სახლში გაიმართება წარმოდგენა გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ. ქართულად წარმოდგენილი იქნება „გუშინდელნი" შ. დადიანისა. 1-მოქმედ. რუსულად „ერთხელ საღამოთი" 2 მოქმ. დასდგავს ფ. რადოლინი. აგრეთვე იქნება ალმოსავლეთის „ვეკეთ" ალექსიძის ხელმძღვანელობით. [illegible] დაუკრავს საზანდარი. [illegible] იქნება ბატკანი. [illegible] მოდგენის ბილეთები [illegible]

**დოლი.** დღეს, დოლის მოედანზედ გაიმართება ცხენების ჯირითი, დასაწყისი 1 საათ. დაუკრავს სამხედრო მუსიკა, ამ დროისთვის თავისუფლების მოედნიდან იქნება ავტომობილები, მხურველთათვის.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

---

# ბეჭვდითი სიტყვის ექსპედიცია ამით აცხადებს ყველა ტფილისის გაზეთების პროვინციალურ

# ხელისმომწერთა საყურადღებოთ

## შემდეგს:

ვინაიდან გაზეთები დღემდის იგზავნებოდა პროვინციაში ფოსტის საშვალებით, ხშირი იყო შემთხვევა, რომ გაზეთების ხელის მომწერლები ღებულობენ დაგვიანებით და ხშირად კიდევაც იკარგებოდა, რაც ჰბადებდა უთანხმოებას, როგორც ხელის მომწერთა და გაზეთების კანტორების შორის, აგრეთვე კანტორებსა და ექსპედიციის შორის, ამიტომ ექსპედიციამ საჭიროდ სცნო და შეუდგა პროვინციის ხელის მომწერლებზედ გაზეთების დარიგებას თავისი აგენტების საშვალებით, რისთვისაც ექსპედიცია სთხოვს პროვინციის ხელის მომწერთ, რათა მიიღონ ცნობისათვის, რომ ექსპედიციას ჰყავს თავისი აგენტები ყველა ქალაქებში და დაბებში და აგრეთვე დიდ სადგურებზედ, წიგნებ-ჟურნალ-გაზეთების მოვაჭრენი, რომლებიც აღნიშნულია ქვემოდ ამისა სიაში:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1) ქალაქ ქუთაისში წიგნის მაღაზია | ტყაბლაძე. | 12) ქალაქი ოზურგეთი აგენტი | პოლიტ. განყ. გამგე ბარამიძე. |
| 2) ქალაქ ლანჩხუთი . . აგენტი | ურუშაძე. | 13) ქალაქი სუფსა . აგენტი | ტაბიძე. |
| 3) ახალსენაკი . . . . . „ | ესებუა. | 14) დაბა ჩოხატაური აგენტი | ცინცაძე. |
| 4) აბაშა . . . . . . „ | მიქაძე. | 15) ქალაქი სიღნაღი „ | თევდორაშვილი. |
| 5) ხონი . . . . . . „ | გალდავაძე. | 16) სადგ. ხაშური . „ | ფოველი. |
| 6) ფოთი . . . . . . „ | ქადეიშვილი. | 17) ქალაქი ბორჯომი „ | თაქთაქიშვილი. |
| 7) თელავი . . . . . „ | ჩიტოშვილი. | 18) სადგ. ყვირილა . „ | ცხომელიძე. |
| 8) კვათურა . . . . . | თოდრია | 19) „ შორაპანი „ | გველესიანი. |
| 9) სადგ. ბათომი . . . . „ | ნიკოლაიშვილი. | 20) სადგ. ხორაგოული „ | მუშათა კოოპერატივი. |
| 10) ქალაქი გორი . . . . „ | მაჭავარიანი. | 21) ქალაქი ზუგდიდი „ | სამაზრო კომიტეტი. |
| 11) „ სამტრედია . . „ | ახობაძე ან ანდრეევა. | | |

ექსპედიცია განმეორებით სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, ვინაიდან ზემოაღნიშნული პირები ვალდებულნი არიან მიაწოდონ ხელის მომწერთ მათ მიერ გამოწერილი გაზეთები თავიანთ ბინებზედ და დაწესებულებებს ორგანიზაციებში, მოსთხოვონ აგენტებს მიზეზი გაზეთების არმიუღებლობისა, თუ ასეთს ექნება ალაგი, რის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ექსპედიციას ყოველივე გაზეთის დაგვიანება უშუალოდ შემდეგის მისამართით:

ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 26. ტელეფ. № 5—43.

№ 404 3—2 ბეჭვდითი სიტყვის ექსპედ. გამგე: ა. ჩეჩელაშვილი.

---

# ა. კ. ს. ს.

# რესპუბლიკის გაერთიანებული რკინის გზის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში (ტფილისი, სადგურის ქ. № 1) დანიშნულია შეჯიბრება, რომელზედაც საიჯაროდ უნდა გადაიცეს 1 წლის ვადით შემდეგი სამუშაოები საქართველოსა და აზერბეიჯანის რკინის გზის სადგურებზე: ტვირთის გადაზიდვა, დატვირთვა და გადმოტვირთვა ტვირთის დაცვასთან ერთად, და აგრეთვე მგზავრებისათვის მოხმარების საქმე ტვირთვებ მზიდველებით.

ვისაც სურს მიიღოს თავის თავზე აღნიშნული სამუშაო, უნდა შეიტანოს წერილობითი განცხადება, საღერბო გადასახადით, დაბეჭდილ კონვერტში, შემდეგის წარწერით: „ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ რკინის გზების სამმართველოში, ტვირთზიდვის სამუშაოების გადასაცემად შეჯიბრებისათვის".

განცხადებაში, გარდა სახელისა, მამის სახელისა და გვარისა უნდა აღნიშნული იყოს მისაღებ სამუშაოების წარმოების პირობები და საფასური ამ სამუშაოსი, როგორც არის ფასი თითო ფუთის დატვირთვისა, გადმოტვირთვისა და გადატვირთვაში.

ტვირთის დაცვა, რომლისთვისაც მას ედება პასუხისმგებლობა ფულით, მის უშუალო თვალ-ყურის დევნებაშია და პასუხს აგებს ტვირთისა და ბარგის შენახვისათვის მიღების დროდან მიმღებისათვის გაცემის დრომდე.

განცხადებას უნდა დართული ჰქონდეს რკინის გზის რომელიმე სალაროდან მიცემული ხელწერილი, რომელიც ამტკიცებდეს, რომ მან შეიტანა საწინდარი—ჩერვონცებით გამოანგარიშებული ძირითადი თანხის 20 პროცენტი.

შეჯიბრებით გადასაცემი სამუშაოები დაყოფილია შემდეგ უბნებად: საქართველოში: 1-ლი ბათომიდან საჯავახომდე (საწინდარი 3.000 მან. ჩერვონცებით); მე-2 ფოთიდან აჯამეთამდე (საწინდარი 3.000 მან. ჩერვ.) მე-3 სვირიდან სკრამდე (3.000 მან. ჩერვ.); მე-4 გორიდან ავჭალამდე, კახეთის შტო და სადგურები ყარაიაზიდან სადახლომდე (2.000 მან. ჩერვ.); მე-5 ტფილისი და ნავთლუღი (15,000 მან. ჩერვ.); ბარგი და სამგზავრო სისწრაფე ტფილისში და მგზავრთა მოხმარება გადაიცემა ცალკე (საწინდარი 7.000 მან. ჩერვ.)

აზერბეიჯანში: 1-ლი ფოილოდან განჯამდე ჩათვლით (საწინდარი 4.000 მან. ჩერვ.) მე-2 ზაზალიდან ევლახამდე (2.000 მან. ჩერვ.); მე-3 ლიაკიდან აჯიკაბულამდე (2.000 მან. ჩერვ.); მე-4 პირსაგატიდან ელიბათამდე (500 მ. ჩერვ.); მე-5 ბაქო მეორე, ბალაჯარა, საბუნჩი—სურახანი (2.000 მ. ჩერვ.); მე-6 ბაქო პირველი (7.000 მან. ჩერვ.); მე-7 გურდამირიდან არაბლინსკამდე (3.500 მ. ჩერვ.)

იმ პირთ, რომელთაც არ გადაეცემათ სამუშაო, წინასწარი საწინდარი დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ უკან.

ძირითადი საწინდარის შეტანის ვადა შეიძლება გაგრძელდეს სამმართველოს განკარგულებით.

შეჯიბრების დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, ეკონომიური სამსახურის საბარგო სადგურების განყოფილებაში 10 საათიდან 1 მდე.

განცხადებათა შეტანის უკანასკნელი ვადა გადის 1923 წ. 1 დეკემბრის 12 საათზე.

3—2